თბილისელთა რევანში

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 29 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 1:0 (0:0).

“დინამო”: იმნაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ესებუა, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია (რეხვიაშვილი).

“სპარტაკი”: პროხოროვი, ბუკიევსკი, სამოხინი, აბრამოვი, ოსიანინი, ლოვჩევი, ბულგაკოვი (სიდოროვი), კოკორევი, პაპაევი, გლადილინი (კოდილევი), ანდრეევი.

მსაჯი: ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები – 0:0.

საშუალო ადგილებისთვის ბრძოლა – სხვა პერსპექტივა ფაქტიურად არა აქვთ წლეულს თბილისის “დინამოს” და მოსკოვის “სპარტაკს”, წარსულში ჩვენი ფეხბურთის აღიარებულ ლიდერებს. მართალია, ის მძიმე კრიზისი, როცა როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს ძალზე ცუდად ჰქონდათ საქმე გათამაშების ცხრილში და აუტსაიდერთა შორისაც იმყოფებოდნენ, განვლილია, მაგრამ საშუალო გუნდის მარკა არავითარ შემთხვევაში არ შეეფერებათ ამ განთქმულ კოლექტივებს.

მატჩი კი ზუსტად საშუალო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების დონეს შეეფერებოდა. იგი არ გამოირჩეოდა არც წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, არც სანახაობრივად, იგი მიმდინარეობდა დუნედ, მონოტონურად, უმთავრესად – მინდვრის შუაგულში და თუ თბილისელთა გულშემატკივრებმა 2 ქულის აღებით მაინც მიიღეს გარკვეული სიამოვნება, “სპარტაკის” ბანაკი ამ მხრივაც გაწბილებული დარჩა.

“სპარტაკი”! ვის ვის და მე კარგად მახსოვს ეს შესანიშნავი გუნდი. რა ძნელი იყო მასთან თამაში, როგორ გუგუნებდნენ მაყურებლებით სავსე ტრიბუნები, რა აჟიოტაჟი სუფევდა სტადიონზე. ახლა, დამეთანხმებით, 8 ათასი დამსწრე ვერაფერი აუდიტორიაა “დინამოსა” და “სპარტაკის” მატჩისთვის.

შეიძლება, მოთამაშეებზე გარკვეული გავლენა მოახდინა იმან, რომ მათ სულ რამდენიმე დღის წინ ძალზე ძნელი მატჩები ჰქონდათ (თბილისელებს – კიევის “დინამოსთან”, მოსკოველებს – “ზარიასთან”) და თავი იჩინა დაღლილობამ, მაგრამ ეს არგუმენტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამართლებს თამაშის დაბალ დონეს.

აშკარად სუსტად გამოიყურებოდა “სპარტაკი”, რომელმაც მთელი შეხვედრის განმავლობაში ხეირიანი ვერაფერი აჩვენა. ვერ გამოიჩინა თავი გუნდის საუკეთესო სნაიპერმა ანდრეევმა, საფუძვლიანად ჩაკეტეს სწრაფი, ენერგიული ბულგაკოვი, სისტემატურად ცდებოდა და ინერტული იყო მთავარი გამთამაშებელი პაპაევი და, საერთოდ, მოსკოველები, რომლებიც ზუსტი კომბინაციური თამაშით გამოირჩეოდნენ ყოველთვის, სწორედ გადაცემებისას იყვნენ უზუსტონი. ერთადერთი, ვინც დაგვამახსოვრდა, იყო ლოვჩევი და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც დინამოელებმა გოლი გაიტანეს და სტუმრები დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ.

თბილისელებს მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მატჩის დასაწყისიდანვე და ამაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის თავდასხმას, კერძოდ, გუცაევს და ყიფიანს. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს პროხოროვის კართან. მათ აქტიურად უჭერდა მხარს ნახევარდაცვიდან მაჩაიძე. გამოვყოფთ, აგრეთვე, მეკარე იმნაძეს, რომელიც მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს. მან

ძნელი ბურთები აიღო ანდრეევისა და კოკორევისგან, კარგად ურთიერთმოქმედებდა მცველებთან.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა გუცაევის მიერ 59–ე წუთზე გატანილმა გოლმა. დარასელიამ მაღალ ტემპში, სწრაფად გაითამაშა ბურთი გუცაევთან, ამ უკანასკნელმა გადაინაცვლა მარცხენა ფრთაზე და ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
“ლელო”, 1 ნოემბერი, 1975 წ.